ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13253584**

თარიღი:**24/12/2025**

ახალციხის მუნიციპალიტეტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ'' საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტს დაუშვას გამონაკლისი და გაზარდოს „საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა არაუმეტეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 30%-ისა.

2. განკარგულება ძალაშია 2026 წლის 01 იანვრიდან;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა), მისი გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

საბა კბილაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი